

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ
მასწავლებლის საგნის გამოცდისათვის

ქართული ენა და ლიტერატურა

თბილისი
2025

სსიპ - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ მიერ ვებ-გვერდზე განთავსებული საგამოცდო კრებულები წარმოადგენს ცენტრის საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“.

სსიპ - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“ ვებ-გვერდის მომხმარებელს / ვიზიტორს აძლევს უფლებას იხილოს და ჩამოტვირთოს აღნიშნული კრებულები, რომლებსაც მხოლოდ საინფორმაციო დანიშნულება აქვს. დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით გავრცელება (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) სსიპ - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე. იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი -----	4
საგამოცდო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში	
ა) ქართული ენა -----	5
ბ) ქართული ლიტერატურა -----	8
ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები	
I. ქართული ენა	
ა) დავალებების ნიმუშები -----	11
ბ) შეფასების კრიტერიუმები -----	15
II. ქართული ლიტერატურა	
ა) დავალებების ნიმუშები -----	17
ბ) შეფასების კრიტერიუმები -----	21
III. მხატვრული ტექსტის ანალიზი	
ა) დავალების ნიმუშები -----	22
ბ) შეფასების კრიტერიუმები -----	26

შესავალი

წინამდებარე კრებულის დანიშნულებაა გააცნოს საშუალო და საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს საგნობრივი გამოცდის პროგრამა, საგამოცდო ტესტის ფორმატი, ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში (VII-XII კლასები) მასწავლებელთა გამოცდის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ენა; II. ქართული ლიტერატურა; III. მხატვრული ტექსტის ანალიზი. I ნაწილში მოცემულია 11 არჩევითპასუხებიანი და ორი ღია ტიპის დავალება, II ნაწილში – 15 არჩევითპასუხებიანი დავალება, III ნაწილში საანალიზოდ მოცემულია მხატვრული ტექსტი.

ტესტის მაქსიმალური შეფასებაა 70 ქულა, გამოცდის ხანგრძლივობაა 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა

საგამოცდო პროგრამა

ქართული ენა

I. შესავალი

1. ქართული ენა როგორც ქართველი ერის საერთო ეროვნული ენა და საქართველოს სახელმწიფო ენა. ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა შორის. ქართველური ენები. ქართული ენის როლი და მნიშვნელობა ქართველური ტომების ეროვნული და სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში.
2. ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების ძირითადი ეტაპები. ქართული დამწერლობის ჩამოყალიბებისა და მწიგნობრობის განვითარების ძირითადი ეტაპები. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პერიოდებად დაყოფის პრობლემა. ანტონ I და ქართული სალიტერატურო ენა. სამოციანელთა როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმეში. თაობათა და შეხედულებათა ბრძოლა სალიტერატურო ენის განვითარების საკითხებზე.
3. თანამედროვე სალიტერატურო ქართული როგორც მრავალფუნქციური სახელმწიფო ენა – სრულფასოვანი კომუნიკაციის, მწერლობისა და მეცნიერების ენა.
4. ქართული სალიტერატურო ენა და ეროვნული ენა. ქართული ენის დიალექტები და სხვა ენობრივი ქვესისტემები – ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრების წყარო და ენობრივ ვარიანტულობათა ძირითადი მიზეზი. ნორმათა დადგენის პრინციპები.

II. ფონეტიკა-ფონოლოგია

5. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფონემური სტრუქტურა. ანბანი. ხმარებიდან გასული ასოები. ხმოვანთა კლასიფიკაცია. თანხმოვანთა კლასიფიკაცია.
6. მარცვალი. ღია და დახურული მარცვალი. დამარცვლის საფუძველი და გადატანის წესები ქართულში.
7. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები.

III. მორფოლოგია

8. სიტყვა. სიტყვა მორფოლოგიური თვალსაზრისით: ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები. დამოუკიდებელი მნიშვნელობის და დამხმარე სიტყვები. გრამატიკული კატეგორიის რაობა. სიტყვის მორფოლოგიური აგებულება: ძირი, ფუძე, მორფემა (აფიქსები). აფიქსთა კლასიფიკაცია.
9. მეტყველების ნაწილების კლასიფიკაცია.
10. არსებითი სახელი. არსებით სახელთა დაჯგუფება შინაარსის მიხედვით. არსებით სახელთა ბრუნება. ბრუნების ტიპები და მათი გამოყოფის საფუძველი. საკუთარ სახელთა ბრუნება. თავისებურად ბრუნებადი არსებითი სახელები. თანდებულებიანი ბრუნვები. არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
11. ზედსართავი სახელი. ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელი. თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელის ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად პირდაპირი და შებრუნებული წყობით. ნათესაობითში დასმული სახელის ბრუნება არსებით სახელთან ერთად პირდაპირი და შებრუნებული წყობით. ზედსართავი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
12. რიცხვითი სახელი. რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები. რაოდენობითი რიცხვითი სახელი შედგენილობის მიხედვით. რიცხვითი სახელის ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად. ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი და მისი ბრუნება. რიცხვით სახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
13. ნაცვალსახელი. ნაცვალსახელთა ჯგუფები. ნაცვალსახელთა ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად. ნაცვალსახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
14. ზმნა. ზმნის კატეგორიები. პირისა და რიცხვის ასახვა ზმნაში. პირის რომელობა, როგორობა. პირთა რაოდენობა ერთ ფორმაში. სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები. სუბიექტური და ობიექტური წყობა. ინვერსია და მისი საფუძველი. ზმნისწინი. მისი ადგილი და ფუნქციები.

ზმნისწინის მარტივი და რთული სახეები. ზმნისწინის ძველი სახით ხმარება. უზმნისწინო ზმნები. დრო. გეზისა და ორიენტაციის საკითხი. კილო. ასპექტი. გზისობა. გარდამავლობა. დინამიკურობა-სტატიკურობა. გვარი. კონვერსია. ქცევა. გარდამავლობა და ქცევა. კონტაქტი. კონტაქტი და გარდამავლობა. მწკრივი. მწკრივთა რაოდენობა და კლასიფიკაცია სერიათა მიხედვით. სერიებად დაყოფის საფუძველი. ზმნის ძირი, ფუძე და თემა. თემის ნიშნები. ერთთემიანი და ორთემიანი ზმნები. ფუძედრეკადი (ხმოვანმონაცვლე) ზმნები. თავისებური ზმნები. ზმნის უღველილება. ზმნის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. შუალობითი კონტაქტის ფორმათა მართლწერა.

15. სახელზმნა: საწყისი და მიმღეობა. საწყისის (მასდარის) წარმოება. მიმღეობათა წარმოება. საწყისსა და მიმღეობაში შემავალი ზმნის კატეგორიები. საწყისი და მიმღეობა როგორც სახელი.
16. ზმნიზედა. ზმნიზედათა დაჯგუფება ფუნქციისა და ფორმის მიხედვით. ზმნიზედის მართლწერა.
17. თანდებული. ცალკე მდგომი და სახელთან შერწყმული თანდებულები. ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით.
18. კავშირი. კავშირის სახეები. მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები.
19. ნაწილაკი. ნაწილაკთა ჯგუფები.
20. შორისდებული. შორისდებულთა ჯგუფები.

IV. სინტაქსი

21. წინადადება როგორც სინტაქსური ერთეული.
22. სინტაგმის ცნება. სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა.
23. წინადადების მთავარი წევრები:
 - ა) შემასმენელი. მარტივი და შედგენილი შემასმენელი.
 - ბ) ქვემდებარე. სინტაქსური ურთიერთობა ქვემდებარესა და შემასმენელს შორის.
 - გ) პირმიმართი დამატებები. პირდაპირი და ირიბი დამატება და მათი სპეციფიკურობა ქართულში. სინტაქსური ურთიერთობა პირმიმართ დამატებებსა და შემასმენელს შორის.
24. წინადადების არამთავარი წევრები:
 - ა) უბრალო დამატება. უბრალო დამატების ბრუნვები (უთანდებულო და თანდებულიანი). უბრალო დამატების სინტაქსური ურთიერთობა წინადადების სხვა წევრებთან.
 - ბ) განსაზღვრება. შეთანხმებული, მართული და მართულ-შეთანხმებული განსაზღვრებები. არსებითი სახელის გამოყენება განსაზღვრებად (ადიექტივაცია) და პირუკუ, ზედსართავისა – ქვემდებარედ (სუბსტანტივაცია).
 - გ) გარემოება. გარემოებათა კლასიფიკაცია. ბრუნვის ფორმები (უთანდებულო და თანდებულიანი) როგორც გარემოების გადმოცემის საშუალებები.
25. წინადადების ტიპები მოდალობის მიხედვით: თხრობითი, კითხვითი, ძახილისა, ბრძანებითი და კითხვა-ძახილისა. მათი გამოხატვის საშუალებანი: ინტონაცია, სიტყვათა წყობა, დამხმარე სიტყვები და ნაწილაკები.
26. წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით: მარტივი, შერწყმული და რთული.
27. მარტივი წინადადება. მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით.
28. ერთშემადგენლიანი წინადადება. ერთშემადგენლიანი წინადადების ტიპები. სახელდებითი წინადადება.
29. შერწყმული წინადადება. შერწყმული წინადადების ტიპები. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი: უკავშირო და კავშირიანი შეერთება. შემასმენლის შეთანხმება რიცხვში ერთგვარ ქვემდებარებთან. ქვემდებარის ბრუნვა სხვადასხვა გვარის ზმნით გადმოცემულ ერთგვარ-შემასმენლიან წინადადებაში.
30. სიტყვათა წყობა წინადადებაში. სიტყვათა წყობის მნიშვნელობა სტილისტიკისათვის.
31. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები.
32. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები. მიმართვა, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკები. ამ სიტყვებთან სასვენი ნიშნების გამოყენების წესები.
33. რთული წინადადება. თანწყობა (პარატაქსი) და ქვეწყობა (ჰიპოტაქსი).
34. რთული თანწყობილი წინადადება. შეერთების საშუალებანი (ინტონაცია, მაერთებელი კავშირები). თანწყობილ წინადადებათა აზრობრივი ურთიერთმიმართება. სასვენი ნიშნები რთულ თანწყობილ წინადადებაში.
35. რთული ქვეწყობილი წინადადება. დამოკიდებული წინადადების გარეგანი და შინაგანი ნიშნები.

- მაქვემდებარებელი კავშირები და სიტყვები. საკორელაციო სიტყვა მთავარ წინადადებაში. დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია ადგილის, კავშირისა და ფუნქციის მიხედვით.
36. რთული ქვეწყობილი წინადადება ერთი ან რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით. ქვეწყობის სახეები.
 37. სიტყვათა წყობა მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში. კავშირთა და საკორელაციო სიტყვათა ადგილი მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში. სასვენი ნიშნების სახეები და ადგილი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.
 38. შერეული სახის რთული წინადადება.
 39. დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირთა შეხამების ზოგი საკითხი მთავარი წინადადების ასახსნელ წევრთან.
 40. სხვათა სიტყვა. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. სხვათა სიტყვის ნაწილაკები. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის მნიშვნელობა სტილისტიკისათვის. სასვენი ნიშნის სახეები და ადგილი სხვათა სიტყვასთან. სხვათა სიტყვის მართლწერა.
 41. მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების აღრევის შემთხვევები.

V. ლექსიკოლოგია

42. ლექსიკოლოგიის ადგილი სხვა საენათმეცნიერო დისციპლინებს შორის. ლექსიკური ერთეული. ლექსიკა. ლექსიკური ფონდი. ლექსიკოგრაფია.
43. სიტყვა მნიშვნელობის თვალსაზრისით. სიტყვის გამოყენება ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობით. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ისტორიულად. მნიშვნელობის გაფართოება, დავიწროება. სიტყვის პოლისემიურობა. პოლისემია და ომონიმია. სინონიმია, ანტონიმია.
44. ფრაზეოლოგიზმები და იდიომები.
45. დიალექტიზმები, პროფესიული ლექსიკა, ჟარგონი, ბარბარიზმები, ნეოლოგიზმები, არქაიზმები.
46. ახალ სიტყვათა წარმოქმნის ძირითადი საშუალებანი. სიტყვაწარმოება როგორც ლექსიკოლოგიის საგანი. ძირეული და წარმოქმნილი სახელები. აფიქსური სიტყვაწარმოება. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები მაწარმოებელი აფიქსებისა და შინაარსის მიხედვით. ფორმამაწარმოებელი აფიქსები სიტყვაწარმოებითი ფუნქციით. ბრუნვისა და თანდებუდიან ფორმათაგან წარმოქმნილი სახელები. ნასესხები აფიქსები.
47. თხზვა (კომპოზიცია) როგორც ლექსიკის გამდიდრების საშუალება. ფუძეგაორკეცება (რედუპლიკაცია). კომპოზიტები ფუძეთა შემადგენლობის მიხედვით. ერთცნებიანი და ორცნებიანი კომპოზიტები. კომპოზიტების მართლწერის საკითხები.

VI. სტილისტიკა

48. სტილისტიკა როგორც ენათმეცნიერების დარგი. სტილისტიკის საგანი. სტილის რაობა.
49. ფუნქციური სტილისტიკა. მწიგნობრული და სასაუბრო სტილი.
50. პუბლიცისტური, მხატვრული, სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიანი სტილი.
51. ლექსიკური სტილისტიკა. სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით. პარონიმები, ევფემიზმები, თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები.
52. სტილისტიკური ხარვეზები: ტავტოლოგია, კალკი, ატროფია.

სარეკომენდაციო ლიტერატურა:

1. ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. შუქია აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
3. გიორგი ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999.
4. თამაზ გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.
5. მარიამ თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959.
6. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1989.
7. ვარლამ თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965.
8. ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
9. ბიძინა ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
10. ქართული ენა და ლიტერატურა (მასწავლებლის ბიბლიოთეკა), 5 ტომად, შედგენილი გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის მიერ, ქართული ენა, რედაქტორები: ელენე ბაბუნაშვილი და მზექლა შანიძე, I-II, თბ., 2009.
11. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VII, თბ., 1985.

12. აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.
13. აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
14. არნოლდ ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
15. არნოლდ ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950 (ცალკე გამოცემა, თბ., 1998).
16. შოთა ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969; ან: საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975.
17. ზურაბ ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.
18. ბესარიონ ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1995.

ლექსიკონები:

1. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
2. ვარლამ თოფურია, ივანე გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.
3. ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995.
4. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991; II, თბ., 1993.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1954; ახალი რედაქცია, I-IV, თბ., 2009-2019.
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.
7. სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2011.
8. ქართული ლექსიკონი, გ. ცოცანიძე, ნ. ლოლაძე, ქ. დათუკიშვილი, თბ., 2014.

ქართული ლიტერატურა

- I. მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურისმცოდნეობითი ტერმინები: ალეგორია, ალიტერაცია, ალუზია, ანდაზა, ასონანსი, აფორიზმი, ბალადა, ბიოგრაფია, განმეორება, გაპიროვნება, გმირი, გროტესკი, დიალოგი, დრამა, ელეგია, ეპიგრაფი, ეპითეტი, ეპილოგი, ეპოსი, ესე, ზღაპარი, თემა, თქმულება, იგაფ-არაკი, იდეა, ინტონაცია, ირონია, იუმორი, კოლიზია, კომედია, კომპოზიცია (კომპოზიციური ელემენტების ჩათვლით), ლეგენდა, ლექსი, ლირიკა, ლიცენცია, მემუარი, მეტაფორა, მითი, მოთხრობა, მონოლოგი, მოტივი, მხატვრული ენა, მხატვრული სახე, ნოველა, პეიზაჟი, პერიფრაზი, პერსონაჟი, პიესა, პოეზია, პოემა, პორტრეტი, პროზა, პროლოგი, უანრი, რემარკა, რემინისცენცია, რითმა, რიტმი, რომანი, სატირა, სახე, სიმბოლო, სიუჟეტი, სტროფი, ტაეპი, ტრაგედია, ტროპი, ფაბულა, შაირი, შედარება, ციტატა, ხასიათი, ხატოვანი თქმა, ჰიმნი, ჰიპერბოლა.
- II. ლიტერატურული პროცესის ძირითადი ეტაპები: სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.
- III. რეკომენდებულ ავტორთა და ნაწარმოებთა ჩამონათვალი:
 1. ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია: „ცხორებად წმიდისა ნინოდისი“, „წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, „წამებად წმიდისა და ნეტარისა ჰაბოდისი“, „სიბრძნე ბალაჰვარისი“, „ცხორებად წმიდისა გრიგოლ ხანძთელისაჲ“, „ცხორებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი“, „ქებად და დიდებად ქართულისა ენისაჲ“, „გალობანი სინანულისანი“.
 2. კლასიკური ხანის მწერლობა: „ამირანდარეჯანიანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“, „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“.
 3. აღორძინების ხანის მწერლობა: ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესიკი.
 4. ახალი ქართული ლიტერატურა: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა.
 5. უახლესი ქართული ლიტერატურა: დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, დემნა შენგელაია, პოლიკარპე კაკაბაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიცვიან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ტერენტი გრანელი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ გრიშაშვილი, ლევან გოთუა, გიორგი შატბერაშვილი, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ნიკო სამადაშვილი, შოთა ჩანტლაძე, მურმან ლებანიძე, გივი გეგეჭკორი, გურამ რჩეულიშვილი, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, ოთარ ჩხეიძე, ჯემალ ქარჩხაძე, გოდერძი

ჩოხელი, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, გურამ დონანაშვილი.

სარეკომენდაციო ლიტერატურა:

ა) ლიტერატურული კრიტიკა და პუბლიცისტიკა

1. ილია ჭავჭავაძე, ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შაღვას ძის ერისთავის კახლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად), პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. III, თბ., 1953.
2. ილია ჭავჭავაძე, პასუხი, იქვე.
3. ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეზედ, იქვე.
4. ილია ჭავჭავაძე, აი ისტორია, იქვე, ტ. IV, თბ., 1955.
5. ილია ჭავჭავაძე, ერი და ისტორია, იქვე.
6. ილია ჭავჭავაძე, ქვათა ღაღადი, იქვე, ტ. VIII, თბ., 1957.
7. ილია ჭავჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე, იქვე, ტ. III, თბ., 1953.
8. ბარბარე ჯორჯაძე, თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ, წიგნში: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, შემდგენელი ს. ხუციშვილი, ტ. I, თბ., 1954.
9. ბარბარე ჯორჯაძე, პასუხს პასუხი, იქვე.
10. რევაზ ერისთავი, პასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა, იქვე.
11. გიორგი წერეთელი, რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიისზედ, იქვე.
12. აკაკი წერეთელი, ახირებული ფურცელი, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად), გ. აბზიანიძის რედაქტორობით, ტ. XI, თბ., 1960.
13. აკაკი წერეთელი, რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ, იქვე.
14. ნიკო ნიკოლაძე, კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში, წიგნში: თხზულებანი, ტ. II, თბ., 1960.
15. ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული (ხუთ ტომად), გ. აბზიანიძისა და სხვ. რედაქტორობით, ტ. V, თბ., 1961.
16. ვაჟა-ფშაველა, კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი, იქვე.
17. ვაჟა-ფშაველა, Pro domo sua, იქვე.
18. ვაჟა-ფშაველა, სად არის პოეზია? იქვე.
19. გერონტი ქიქოძე, ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა, წიგნში: რჩეული თხზულებანი (სამ ტომად), ტ. II, თბ., 1964.
20. გერონტი ქიქოძე, ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან, იქვე.
21. კიტა აბაშიძე, გონს მოდიო! წიგნში: ცხოვრება და ხელოვნება, შემდგენელი დ. გამეზარდაშვილი, თბ., 1971.
22. კიტა აბაშიძე, XIX საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის, იქვე.
23. ქართული ლიტერატურული ესსე (96 ესსე), შემდგენელი მ. ხელაია, თბ., 1986.
24. არჩილ ჯორჯაძე, პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე, წიგნში: წერილები, შემდგენელი ა. ბაქრაძე, თბ., 1989.
25. იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, წიგნში: რჩეული თხზულებანი (ხუთ ტომად), ტ. II, თბ., 1990.
26. გრიგოლ რობაქიძე, აკაკის ქნარი, თბ., 1991.

ბ) სამეცნიერო ლიტერატურა

1. კორნელი კეკელიძე, „წმიდა“ მხედარი ძველ ქართულ მწერლობაში, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945.
2. კორნელი კეკელიძე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში, იქვე, ტ. IV, თბ., 1957.
3. იონა მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, წიგნში: ქართველი მწერლები, სოლ. ცაიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1954.
4. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1956.
5. გრიგოლ კიკნაძე, რომანტიკოსებიდან რეალისტებისაკენ, წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1956.
6. გრიგოლ კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957.
7. გიორგი ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958.

8. გიორგი ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958.
9. კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, თბ., 1962.
10. პავლე ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, წიგნში: თხზულებათა კრებული (შვიდ ტომად), ტ. I, თბ., 1963.
11. გერონტი ქიქოძე, მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია. წიგნში: რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. III, თბ., 1965.
12. ვახტანგ კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს). წიგნში: რჩეული ნაწერები (ორ წიგნად), დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, წგნ. I, თბ., 1965.
13. ნოდარ ნათაძე, სარგის ცაიშვილი, რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966.
14. გურამ ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1988.
15. რევაზ თვარაძე. თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა. თბ., 1985.
16. გაიოზ იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1968.
17. აკაკი გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1978.
18. სარგის ცაიშვილი, შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, თბ., 1980.
19. სარგის ცაიშვილი, მარადიული სახეები, თბ., 1981.
20. კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980; ტ. II, თბ., 1981.
21. რევაზ სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982.
22. ელგუჯა ხინთიბიძე, ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის ისტორიისათვის, კრებულში: ივირონი – 1000, თბ., 1983.
23. თამაზ ჩხენკელი, მშვენიერი მძღვევარი, თბ., 1989.
24. ლევან მენაბდე, ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.
25. რევაზ თვარაძე, გადასახედი, თბ., 1997.
26. რევაზ სირაძე, ქართული კულტურის საფუძვლები, თბ., 2000.
27. გრიგორ ფარულავა, ქართული ჰაგიოგრაფია, კრებულში: „ნათელი ქრისტესი. საქართველო“, ტ. I, თბ., 2003.
28. გრიგორ ფარულავა, წმ. გრიგოლ ხანძთელი, იქვე.
29. მანანა გიგინეიშვილი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, კრებულში: „ნათელი ქრისტესი. საქართველო“, ტ. I, თბ., 2003.
30. თამაზ ვასაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყარო, თბ., 2003.
31. აკაკი ბაქრაძე, აკაკი წერეთელი. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, თბ., 2004.
32. რევაზ სირაძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 2005.
33. დავით წერეთელი, ანარეკლი, თბ., 2005.
34. ლაურა გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბ., 2005.
35. მანანა ბრეგვაძე, რუსთაველი და პლატონი, წიგნში: დრო და მარადისობა, I, თბ., 2006.
36. ქართული ენა და ლიტერატურა (მასწავლებლის ბიბლიოთეკა), 5 ტომად, შედგენილი გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის მიერ, ძველი ქართული ლიტერატურა, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, III-V, თბ., 2009.
37. ქართული რომანტიზმი – ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები. რედაქტორი ზ. აბ-ზიანიძე, თბ., 2012.
38. ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, რედაქტორი ი. რატიანი, თბ., 2012.
39. აღექსანდრე ყაზბეგი (საიუბილეო კრებული), თბ., 2014.
40. დავით წერეთელი, თემა და ვარიაციები, თბ., 2018.
41. ლაურა გრიგოლაშვილი, ლიტერატურული კონცეპტები და სხვა, თბ., 2018.
42. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი, რედაქტორი დ. მენაბდე:
 - ა) წმიდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა. თბ., 2009.
 - ბ) იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ და ადრექრისტიანული კულტურა თბ., 2012.
 - გ) ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა, თბ., 2013.
 - დ) ეროვნული თვითშეგნების სათავეებთან – იოანე საბანისძე „მარტვლობაჲ ჰაბო ტფილელი-საჲ“, თბ., 2016.
 - ე) უდაბნოთა ქალაქმყოფელი. წმიდა გრიგოლ ხანძთელი, თბ., 2018.
 - ვ) ქართული ჰაგიოგრაფია, თბ., 2021.

ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები

I. ქართული ენა

ა) დავალებების ნიმუშები

(1) 1. სტრუქტურულ-ფუნქციურად თუ სემანტიკურად მსგავსი ორი ენობრივი ერთეულის აღრევის შედეგად ახლის გაჩენა არის:

- ა) ატროფია.
- ბ) კალკი.
- გ) კონტამინაცია.
- დ) ტავტოლოგია.

(1) 2. ჩამოთვლილთაგან რომელია პარონიმები?

- ა) აისი – დაისი.
- ბ) ეკონომიური – ეკონომიკური.
- გ) მოხუცი – მხცოვანი.
- დ) ჩიბუხი – ყალიონი.

(1) 3. რომელი სიტყვა არ მიემართება ადამიანს?

- ა) მკვირცხლი.
- ბ) მრუმე.
- გ) მუყაითი.
- დ) მწყაზარი.

(1) 4. ჩამოთვლილთაგან რომელია ქართულისათვის უფრო ბუნებრივი?

- ა) ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაყიდვაშია ახალი საბავშვო წიგნები.
- ბ) გავრცელებული ინფორმაციით, სავარაუდო დამნაშავე ამ დროისათვის მიმაღვაშია.
- გ) როგორც ვიცით, ამ ეტაპზე ბრალი არავისთვის წაუყენებიათ, საქმე ჯერ კიდევ გამოძიებაშია.
- დ) სხვადასხვა კუთხეში მოძიებული და შეკრებილი ძველი სათამაშოები ამ მუზეუმშია დაცული.

(1) 5. დეფისით იწერება ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტი:

- ა) რომლის ნაწილები მნიშვნელობას მოკლებულია.
- ბ) რომლის ნაწილები შეერთებულია და კავშირით.
- გ) რომლის ფუძეში შეცვლილია ხმოვანი ან თანხმოვანი.
- დ) რომლის ნაწილებს შორის ივარაუდება და კავშირი.

(1) 6. ჩამოთვლილი თანდებულებიდან რომელი დაერთვის სახელს ორ ბრუნვაში?

- ა) -თანავე.
- ბ) -თან.
- გ) -ვით.
- დ) -მდე.

(1) 7. ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი?

- ა) ყველა ერთპირიანი და ორპირიანი ზმნა გარდაუვალია.
- ბ) ყველა ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია.
- გ) ყველა ორპირიანი ზმნა გარდამავალია.
- დ) ყველა სამპირიანი და ორპირიანი ზმნა გარდამავალია.

(1) 8. მსაზღვრელი ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ნიშანს არ დაირთავს, თუ:

- ა) მსაზღვრელი ზომა-წონის აღმნიშვნელი სახელია.
- ბ) მსაზღვრელი თავაზიანობის გამომხატველი სახელია.
- გ) მსაზღვრელი პროფესიის აღმნიშვნელი სახელია.
- დ) მსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელი სახელია.

(1) 9. რომელია სწორი?

- ა) ზმნა სახელს ითანხმებს რიცხვში.
- ბ) ზმნა სახელს მართავს ბრუნვაში.
- გ) ზმნა სახელს მართავს ბრუნვაში და ითანხმებს რიცხვში.
- დ) ზმნა სახელს ვერ მართავს ბრუნვაში, მაგრამ ითანხმებს რიცხვში.

(1) 10. რომელია სწორი?

- ა) რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება არ შეიძლება წინ უძღოდეს მთავარ წინადადებას.

- ბ) რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება არ შეიძლება მოსდევდეს მთავარ წინადადებას.
- გ) რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარი წინადადება შეიძლება გათიშული იყოს დამოკიდებული წინადადებით.
- დ) რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარი წინადადება ყოველთვის გათიშულია დამოკიდებული წინადადებით.

(1) 11. ტირე არ გამოიყენება:

- ა) განკერძოებული სიტყვებისა თუ გამოთქმების გამოსაყოფად.
- ბ) დიალოგურ მეტყველებაში თანამოსაუბრეთა ნათქვამის გასამიჯნად.
- გ) შერწყმულ წინადადებაში ამა თუ იმ გამოტოვებული წევრის საკომპენსაციოდ.
- დ) შერწყმული წინადადების ერთგვაროვან წევრთა უკავშიროდ შესაერთებლად.

(12) 12. წაკითხეთ ნაწყვეტი მწერალ გურამ ფანჯიკიძის ინტერვიუდან:

ხშირად ამბობენ, მწერლობა ენას ავითარებსო. შეიძლება ეს უწინ მართლაც ასე იყო. ახლა კი?... ხალხს სჯერა პრესისა, ხალხს სჯერა რადიო-ტელევიზიისა და როდესაც ისინი კითხულობენ ან ისმენენ დამახინჯებულ ქართულს, ნელ-ნელა და საფუძვლიანად ითვისებენ მახინჯ ფორმებს, ქართული ენისათვის შეუფუებელ უცხოურ კონსტრუქციებს. ეს პროცესი თანდათანობით უფრო გაძლიერდება. წიგნი ნელ-ნელა კარგავს მკითხველს. წიგნს ცვლის ტელევიზია. ხედვითი, ვიზუალური პროცესი გაცილებით იოლია და „ტევადი“. „ანა კარენინას“ წაკითხვას დღევანდელი დამაბული ცხოვრების პირობებში ერთი თვე მაინც უნდა, თუ მეტი არა. ამ რომანის მიხედვით შექმნილი ფილმის ნახვას კი – სულ სამი საათი! მწერლის სწორი ქართული კი ჰგავს თაროზე შემოდებულ იმ კანონს, რომელსაც არავინ იყენებს.

- (2) I. ჩამოაყალიბეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.
- (3) II. იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა დღეს.
- (2) III. ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი გურამ ფანჯიკიძის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.
- (3) IV. იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

გაითვალისწინეთ: ეს დავალება სწორდება ენობრივი თვალსაზრისითაც. ამ კომპონენტის მაქსიმალური შეფასებაა 2 ქულა.

(12) 13. ყურადღებით გაეცანით მოსწავლის ნამუშევარს და შეფასების სქემას.

მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:
საკუთარი პრინციპების ერთგულება ადამიანს შიშის დაძლევაში ეხმარება.

მოსწავლის ნამუშევარი

პრინციპებისადმი ერთგულება ადამიანისათვის ყველაზე ღირებული რამ არის. თუ ჩვენს ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ რომ საკუთარი პრინციპების დამცველი არა ერთი გმირი გვყოლია. ასეთი ადამიანები ბევრ მხატვრულ ნაწარმოებებშია ნაჩვენები. იოვანე საბანისძის თხზულებაში „აბო თბილელის წამება“ ნათლად ჩანს, თუ როგორი სულიერი სიმტკიცე შეიძლება გამოიჩინოს ადამიანმა. აბომ „უდებ-ყო შჯული იგი მაჰმედისი“ და „შეიყვარა ქრისტიე ყოვლითა გულითა“, მაგრამ მიუხედავად ამისა თავდაპირველად მას ემინოდა ამის გასაჯაროება. შემდეგ, როდესაც იგი ხაზარეთში ქრისტიანად მოინათლა, მისი რწმენა კიდევ უფრო განმტკიცდა. აფხაზეთის მთავარი თავაზობდა აბოს დარჩენილიყო აფხაზეთში, სადაც უსაფრთხოდ იქნებოდა, მაგრამ იგი გაჰყვა ნერსე ერისთავს ქართლში. სარკინოზებმა შეიპყრეს აბო და ემუქრებოდნენ, ხან კი მის მოსყიდვას ცდილობდნენ, მაგრამ მან რწმენას არ უღალატა და მოწამეობრივად დაასრულა სიცოცხლე.

ასეთივე მამაც და პრინციპულ ადამიანად გვევლინება ზვიადაური ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“. იგი არ უშინდება მტერს, როცა შეიპყრობენ. მას, როცა ქისტები ყელზე ხანჯალს აბჯენდნენ, არ შედრკა და მამაცურად შეხვდა სიკვდილს. ქისტებიც კი გულში ნანობდნენ, რომ ასეთი ვაჟკაცი გამოასალმეს სიცოცხლეს.

დღესაც ვხედავთ გმირობის მაგალითებს. უკრაინელმა ხალხმა მსოფლიოს დაანახვა, როგორ შეიძლება დასძლიო შიში და ებრძოლო ძლიერ მტერს. მათ თავისი სამშობლოს სიყვარულმა და პრინციპების ერთგულებამ შეაძლებინა გაეძლიათ მტრის შეტევისათვის ამდენ ხანს. ვფიქრობ დედებმა პრინციპებზე დაფუძნებით უნდა გაზარდონ შვილები და ისინი სწორედ ამის წყალობით შეძლებენ ყოველგვარ დაბრკოლების გადალახვას.

შეფასების კრიტერიუმები

<i>კრიტერიუმები</i>	<i>კრიტერიუმების განმარტება</i>	<i>ქულები</i>
მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით;	2
	ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა;	1
	გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, მაგალითებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	0

ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერის სტილი გამართულია;	2
	ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტიკური ხარვეზები;	1
	გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ ნაწერის სტილი გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	0
ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა;	2
	ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა;	1
	გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია.	0

შეაფასეთ მოსწავლის ნამუშევარი შემოთავაზებული სქემის მიხედვით და დაურთეთ კომენტარები, კერძოდ:

I. შეაფასეთ მოსწავლის ნამუშევარი I კრიტერიუმის მიხედვით, თქვენი შეფასება დაასაბუთეთ და მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან;

II. შეაფასეთ II კრიტერიუმის მიხედვით, თქვენი შეფასება დაასაბუთეთ და მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან;

III. 1. შეაფასეთ III კრიტერიუმის მიხედვით, ამოიწერეთ თხზულებაში დაშვებული ყველა შეცდომა (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები);

III. 2. თითოეულ შეცდომას მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს თუ სინტაქსურს;

IV. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

ბ) შეფასების სქემა და კრიტერიუმები

1. ----- გ)
2. ----- ბ)
3. ----- ბ)
4. ----- დ)
5. ----- დ)
6. ----- გ)
7. ----- ბ)
8. ----- გ)
9. ----- ბ)
10. ----- გ)
11. ----- დ)

12. I. ა) მთავარი სათქმელი ჩამოაყალიბებულია. ----- 2ქ.

ბ) მთავარი სათქმელი ნაწილობრივ არის ჩამოაყალიბებული. ----- 1ქ.

- გ) მთავარი სათქმელი ჩამოყალიბებული არ არის. ----- 0ქ.
- II.** ა) მკაფიოდ არის გამოკვეთილი პრობლემის აქტუალურობა, მსჯელობა დამაჯერებლად და დასაბუთებული. ----- 3ქ.
- ბ) პრობლემის აქტუალურობა გამოკვეთილია, მაგრამ მსჯელობა ნაწილობრივ არის დასაბუთებული. 2ქ.
- გ) პრობლემის აქტუალურობა გამოკვეთილია, მსჯელობა ძალზე ზოგადია, არგუმენტაცია აკლია. ---- 1ქ.
- დ) არ არის გამოკვეთილი პრობლემის აქტუალურობა, მსჯელობა დასაბუთებული არ არის. ----- 0ქ.
- III.** ა) ჩამოყალიბებულია ორივე არგუმენტი. ----- 2ქ.
- ბ) ჩამოყალიბებულია მხოლოდ ერთი არგუმენტი. ----- 1ქ.
- გ) ჩამოყალიბებული არგუმენტები არაადეკვატურია. ----- 0ქ.
- IV.** ა) მსჯელობა დამაჯერებლად და დასაბუთებული. ----- 3ქ.
- ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არის დასაბუთებული. ----- 2ქ.
- გ) მსჯელობა ძალზე ზოგადია, არგუმენტაცია აკლია. ----- 1ქ.
- დ) მსჯელობა დასაბუთებული არ არის. ----- 0ქ.
- V.** ა) არ არის დაშვებული არცერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ----- 2ქ.
- ბ) დაშვებულია ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ----- 1ქ.
- გ) დაშვებულია ერთზე მეტი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ----- 0ქ.

13.

- I.** ა) I კრიტერიუმის მიხედვით მსჯელობის დასაბუთების შეფასება სწორია, მსჯელობა არგუმენტირებულია, მოხმობილი მაგალითები ადეკვატურია. ----- 2ქ.
- ბ) I კრიტერიუმის მიხედვით მსჯელობის დასაბუთების შეფასება სწორია, მსჯელობა არგუმენტირებულია, მაგრამ მაგალითები არ არის მოხმობილი. ----- 1ქ.
- გ) გადმოიწერია მხოლოდ კრიტერიუმის მითითებები. ----- 0ქ.
- II.** ა) II კრიტერიუმების მიხედვით ლექსიკისა და სტილის შეფასება სწორია, მსჯელობა არგუმენტირებულია, მოხმობილი მაგალითები ადეკვატურია. ----- 2ქ.
- ბ) II კრიტერიუმის მიხედვით ლექსიკისა და სტილის შეფასება არაზუსტია, რადგან მოხმობილი მაგალითები არასაკმარისია ან ერთ შემთხვევაში არასწორია. ----- 1ქ.
- გ) მოხმობილი მაგალითები არასწორია ან გადმოიწერია მხოლოდ კრიტერიუმის მითითებები. --- 0ქ.
- III.** ა) III კრიტერიუმების მიხედვით შეფასებისას მასწავლებელს გამორჩა მხოლოდ ერთი შეცდომა. -- 3ქ.
- ბ) მასწავლებელს გამორჩა ორი შეცდომა ან არასწორად ამოიწერა ერთი. ----- 2ქ.
- გ) მასწავლებელს გამორჩა სამი ენობრივი შეცდომა ან არასწორად ამოიწერა ორი. ----- 1ქ.
- დ) მასწავლებელს გამორჩა სამზე მეტი ენობრივი შეცდომა ან არასწორად ამოიწერა სამი. ----- 0ქ.
- IV.** ა) სწორია ხუთი ენობრივი შეცდომის კვალიფიკაცია. ----- 3ქ.
- ბ) სწორია ოთხი შეცდომის კვალიფიკაცია. ----- 2ქ.
- გ) სწორია სამი შეცდომის კვალიფიკაცია. ----- 1ქ.
- დ) სწორია მხოლოდ ორი შეცდომის კვალიფიკაცია. ----- 0ქ.
- V. მასწავლებლის რეკომენდაციები**
- ა) რეკომენდაციები მეთოდურად გამართულია და მსჯელობა არგუმენტირებულია. ----- 2ქ.
- ბ) რეკომენდაციები მეთოდურად გამართულია, მაგრამ მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია. 1ქ.
- გ) რეკომენდაციები მეთოდურად გაუმართავია და მსჯელობა არგუმენტირებული არ არის. ----- 0ქ.

II. ქართული ლიტერატურა

ა) დავალებების ნიმუშები

(1) 14. რა მოტივი ჰქონდა ვარსკენ პიტიახშს, როდესაც შუშანიკს სადედოფლო სამკაულების დაბრუნება მოსთხოვა?

- ა) ვარსკენის აზრით, მოსალოდნელი იყო შუშანიკს სადედოფლო სამკაულები უპოვარ ქრისტიანთა დასახმარებლად გაეყიდა და ამიტომაც ეჩქარებოდა მათი დაბრუნება.
- ბ) ვარსკენს მეორე ცოლის მოყვანა სურდა და სადედოფლო სამკაულების მისთვის მიცემას აპირებდა. ნაწარმოების დასაწყისში ჩანს, რომ „საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან“.
- გ) ვარსკენს სურდა, ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოეხდინა სასახლიდან გაქცეულ დედოფალზე, მიენიშნებინა, რომ სხვა ცოლის მოყვანას აპირებდა: „იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“.
- დ) რადგან შუშანიკმა ვარსკენის ცოლობაზე უარი განაცხადა, ვარსკენს სადედოფლო სამკაულების, როგორც პიტიახშთა საოჯახო რელიკვიის, თავისი შვილებისთვის გადაცემა სურდა.

(1) 15. ქართველი ჰიმნოგრაფები სტეფანე ჭყონდიდელი და მიქაელ მოდრეკილი თავიანთ ჰიმნებში აბო თბილელს „ისმაიტელყოფილ ქართველს“ უწოდებდნენ. რა შეიძლება ყოფილიყო აბოს ქართველად მოხსენიების საფუძველი?

- ა) რადგან აბო ქართული ეროვნული ეკლესიის წმინდანი იყო და არა რომელიმე სხვა ეკლესიისა, ის, წარმომავლობის მიუხედავად, ქართველად მიიჩნეოდა.
- ბ) რადგან აბოს წინაპრები ოდესღაც საქართველოდან წასულან საცხოვრებლად ბაღდადში, ჰიმნოგრაფები პატივისცემის ნიშნად მას ქართველად იხსენიებდნენ.
- გ) რადგან მთელი თავისი ქონება აბომ ქართველ ქრისტიანებს დაუტოვა, მას ჰიმნოგრაფები ქართველად მოიხსენიებდნენ.
- დ) რადგან ქართლი ქრისტიანული სამყაროს ცენტრად მიიჩნეოდა, ქრისტიანობისთვის შეწირული ყველა მოწამე, მიუხედავად წარმომავლობისა, ქართველად იწოდებოდა.

(1) 16. გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა: *რის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ნაწარმოები ნამდვილად 951 წელს დაიწერა?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?

- ა) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დაწერის დრო ზუსტად არის დადგენილი თვით ნაწარმოებში დაცული ცნობების საფუძველზე.
- ბ) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დაწერის დრო იერუსალიმში დაცულ მეთერთმეტე საუკუნის ხელნაწერ კრებულზე არის აღნიშნული.
- გ) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დაწერის დრო ნიკო მარმა შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობისას ნაპოვნი ხელნაწერების მიხედვით დაადგინა.
- დ) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დაწერის დროდ მიჩნეული 951 წელი სავარაუდო თარიღია და ამ საკითხს მეცნიერები დღემდე სწავლობენ.

(1) 17. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა: როგორ სიყვარულს უსახავს სამაგალითოდ თავის მკითხველს შოთა რუსთაველი?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?

- ა) ამქვეყნიურ ტრფობას, რომელიც ღვთაებრივ სიყვარულს ჰბამავს.
- ბ) ღვთაებრივ სიყვარულს, რომლის გონებით შეცნობაც შეუძლებელია.
- გ) ცალმხრივ სიყვარულს, რომელიც მიჯნურს სულიერად ამაღლებს.
- დ) ხორციელ ურთიერთობას, რომელსაც სულიერი ერთობა არ ახლავს.

(1) 18. რომელი ინფორმაციაა სწორი?

- ა) „ვეფხისტყაოსანი“ დაიბეჭდა XVIII საუკუნის დასაწყისში არჩილ მეფის მიერ დაარსებულ სტამბაში.
- ბ) „ვეფხისტყაოსანი“ დაიბეჭდა 1629 წელს იტალიაში ნიკიფორე ირბახის მიერ დაარსებულ სტამბაში.
- გ) „ვეფხისტყაოსანი“ დაიბეჭდა 1709 წელს ვახტანგ VI-ის უშუალო თაოსნობით დაარსებულ სტამბაში.
- დ) „ვეფხისტყაოსანი“ დაიბეჭდა 1739 წელს ქუთაისში ანტონ კათალიკოსის მიერ დაარსებულ სტამბაში.

(1) 19. დავით გურამიშვილის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა: მიუხედავად იმისა, რომ პოეტი ვრცლად საუბრობს სწავლა-განათლების შესახებ, კონკრეტულად რა ფუნქციას ანიჭებს მას?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?

- ა) პოეტის აზრით, სწავლა-განათლება ადამიანებზე შთაბეჭდილების მოხდენის ეფექტური საშუალებაა.

- ბ) პოეტის აზრით, სწავლა-განათლება ადამიანების მართვისა და ორგანიზების მძლავრი იარაღია.
- გ) პოეტის აზრით, სწავლა-განათლება ადამიანის ზნეობრივი და პროფესიული სრულყოფის საწინდარია.
- დ) პოეტის აზრით, სწავლა-განათლება ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის ერთადერთი გარანტია.

(1) 20. ალექსანდრე ჭავჭავაძის რომელ ლექსებს დაუკავშირებთ ალეგორიის სწავლებას?

- ა) „ვაჰ, დრონი, დრონი“ და „გოგჩა“.
- ბ) „ვაჰ, დრონი, დრონი“ და „ვისაც გსურთ“.
- გ) „გოგჩა“ და „სიყვარულო, ძალსა შენსა“.
- დ) „ვისაც გსურთ“ და „სიყვარულო, ძალსა შენსა“.

(1) 21. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „მერანი“ სწავლების დროს „ვეფხისტყაოსნის“ რომელ მონაკვეთს შეახსენებთ მოსწავლეებს, რომ უფრო ღრმად გაიაზრონ ლირიკული გმირის ღირებულებები და სულისკვეთება?

- ა) „ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა“.
- ბ) „დათხოვა ავთანდილისა როსტევან მეფესთან და ვაზირის საუბარი“.
- გ) „ტარიელისა და ავთანდილისგან წასვლა ფრიდონისასა“.
- დ) „ტარიელისგან ხატაეთს წასვლა და დიდი ომი“.

(1) 22. რომელ მოვლენას მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ ლექსი „მესმის, მესმის სანატრელი...“?

- ა) ბატონყმური წყობილების გაუქმებას რუსეთში 1861 წელს.
- ბ) ირლანდიელი ხალხის ბრძოლას ავტონომიის მოსაპოვებლად.
- გ) რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთის აჯანყებას 1863 წელს.
- დ) ჯუზეპე გარიბალდის ბრძოლას იტალიის გაერთიანებისათვის.

(1) 23. თავისი სათქმელითა და სულისკვეთებით ილია ჭავჭავაძის რომელ ნაწარმოებთან ამჟღავნებს ახლო მსგავსებას აკაკი წერეთლის ლექსი „ჩანგური“?

- ა) ლექსთან „იანიჩარი“.
- ბ) ლექსთან „ლოცვა“.
- გ) ლექსთან „რისთვის მიყვარხარ?“
- დ) ლექსთან „ჩემო კალამო...“

(1) 24. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.

ავტორის აზრით, სად არის „დასაბამი პატრიოტიზმისა“?

- ა) მეგობართა წრეში.
- ბ) ოჯახში.
- გ) რელიგიურ მრწამსში.
- დ) სასწავლებელში.

(1) 25. ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ პერსონაჟი სვიმონ ჩოფიკაშვილი წინააღმდეგი იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს შესვლისა, თუმცა საბოლოოდ „თავის თავზედ მიიღო ზრუნვა მომავალს რუსებზედ“.

რატომ წავიდა სვიმონ ჩოფიკაშვილი საკუთარი ნების წინააღმდეგ?

- ა) მეფის გადაწყვეტილების მორჩილება მას მმართველის თანამდებობას შეუნარჩუნებდა.
- ბ) მეფის გადაწყვეტილების წინააღმდეგ წასვლა მას მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდა.
- გ) რუსეთის მფარველობაში შესვლის საყოველთაო სურვილს იგი წინ ვერ აღუდგებოდა.
- დ) რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა მას უპერსპექტივო საქმედ მიაჩნდა.

(1) 26. რომელი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან დახასიათებული შემდეგი სიტყვებით:

მათი შემოქმედება გამოირჩევა არტისტული მანერებით, ექსტრავაგანტული პოზებით, ორიგინალური სახეებით.

- ა) კლასიციზმის.
- ბ) რომანტიზმის.
- გ) სენტიმენტალიზმის.
- დ) სიმბოლიზმის.

(1) 27. როგორ ახასიათებს „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟ თეიმურაზ ხევისთავს მისი სიტყვები: „ქართული სული ზღაპარია, ქართული კულტურა ჭორია! ერთი სული მხოლოდ ერთს მთლიან ერს აქვს, ქართველობა კი, როგორც ფსიქიური და ეროვნული ერთეული, არ არსებობს“.

- ა) როგორც გამორჩეულ ჰუმანისტს.
- ბ) როგორც დიდ პატრიოტს.

- გ) როგორც ნიჰილიზმით შეპყრობილს.
- დ) როგორც ღვთის მგმობელს.

(1) 28. მოსწავლემ იკითხა: *რომან „დიდოსტატის მარჯვენაში“ გადმოცემული რომელი ამბავი ასახავს ისტორიულ სინამდვილეს?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?

- ა) ბაგრატ უფლისწულის მძევლად ყოფნა ბიზანტიის სამეფო კარზე.
- ბ) გიორგი მეფის ბრძანებით ძელიცხოვლის მოწამვლა.
- გ) გიორგი მეფის მიერ ფხოველთა აჯანყების ჩახშობა.
- დ) სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარ არსაკიძისათვის მარჯვენის მოჭრა.

ბ) შეფასების სქემა

- 14. ----- გ)
- 15. ----- ა)
- 16. ----- ა)
- 17. ----- ა)
- 18. ----- გ)
- 19. ----- გ)
- 20. ----- ბ)
- 21. ----- ა)
- 22. ----- დ)
- 23. ----- დ)
- 24. ----- ბ)
- 25. ----- ბ)
- 26. ----- დ)
- 27. ----- გ)
- 28. ----- ა)

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი

ა) დავალების ნიმუშები

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტები გიორგი ლეონიძის მოთხრობიდან „ბუნბულა“:

დალაქი ბუნბულა ფარსმანიშვილი მეტად ჩვილი, გულნაზუქი მახსოვს, – მოსიყვარულე, უწყინარი, ძვირუხსენებელი, მეგულკეთილე, თან გაგებული, შესმენილი კაცი.

– არავის აწყენინო, მოშიშება უნდა გქონდეს, ჩვენი ბოლო სამი ფიცარია! – ზედ დააყოლებდა ამ სიტყვებს, სამართებელს რომ ღვედზე ლესვას დაუწყებდა. კარგი მემუსაიფე იყო, ხალხის შემაქცევარი. სიტყვის თავზე „ჩემი ხარ ბატონი“ არ დაავიწყებოდა...

პირველი მსოფლიო ომი რომ ატყდა, ბუნბულა მართლა შეგეცოდებოდათ. კინალამ არ შეირყა.

– ქვეყანა ბოროტების მტვერით აივსო! აჰა, ეგეც სიმწრის ჭაშნიკი! ვაი, სადა ხარ, სირცხვილო, ვაი, ადამიანის გაღორებას!

– ღმერთო, ჩვენსკენ მოღერებული ხანჯალი დაუმოკლე ჩვენს მტერს!

და შეწუხებული, დამწუხრებული ბუნბულა მიადგებოდა გამვლელ-გამომვლელს.

– კაცი არა ხარ?

– მერე?

– განა ძმები არა ვართ, გულის ძმავ?

– მერე?

– მერე ისა, რომ ჩემი სული შენს მუჭაში დევს!

– რა გინდა?

– ის მინდა, რომ თუ საქართველოს მირონი გიყვართ, შევერთდეთ, ერთმანეთს მხარი მოვაბათ, ხელმწიფესთან წავიდეთ, დავუჩოქოთ, შევეხვეწოთ – ომი არ გვინდა-თქო!

– ვინ მიგვიშვებს ხელმწიფესთან?

– ჩვენ ჩვენი საცადური არ დავაკლოთ!

– მერე რა გამოვა?

– როგორ თუ რა? ფარა ცხვარმა ხეს შეჰბლავლა და ხე გახმაო! ხატიცხოვლის მადლმა, მართალია! როდის ვამბობ გულის მოსაპირავად?

საწყალ დალაქს გულწრფელად სჯეროდა კეთილ ადამიანთა ნების შეერთების ძალა.

– ეჰ, მოგცლია! – ეტყოდა ვინმე ილაჯგაწყვეტილი.

– მაშ, ხალხი არ გენანება, დედამიწა, ცა-მზე? მაშ სიცოცხლე უნდა ყმად მიუგდოთ სიკვდილს? მაშ, საკაცო მადლი დავკარგოთ?!

– ენდე ღმერთს! ხელმწიფესთან წავიდეთ, ფეხქვეშ ჩავუცვივდეთ, მუხლ-დადგმით ვთხოვოთ, შევეხვეწოთ, – მუდარით შესთხოვდა ბუნბულა უცნობსა თუ ნაცნობს, ახლობელსა თუ შორებელს, გამვლელსა თუ გამომვლელს. მაგრამ მის წინადადებაზე ყველას ეღიმებოდა. ერთმა ვირულა ბიჭმა შეჰკადრა კიდევაც: ტვინი ამოგიღვარესო?

სამართლისა და მშვიდობის მაძიებელი დალაქი გაცემული იყო ადამიანთა უმადურობით; – ვაი, გზა ვერ ვიპოვე ვერავის გულში!..

და ერთ დღეს ბუნბულა გაჰქრა სოფლიდან. ცოლ-შვილი დარდობდა, დაეძებდა, მოკითხულობდა, თუმცა ამოდ... ბუნბულას თანაზიარი ბიძაჩემი სულხანი ძალზე შეაწუხა მეგობრის დაკარგვამ და საყვარელი კაკლის ქვეშ ჰურისჭამა აკვეთა.

ბუნბულას ოჯახი და ბიძაჩემი ბუნბულას გზას დაეძებდნენ, ფოსტალიონს ავედრებდნენ, მოვიდეს წერილი თუ არა, მყისვე, იწვე თუ იდგე, მაშინვე გამოექანეო!..

გულჩვილი ბიძაჩემი დარდით მთლად მომჩვარდა, ხმას არ გვცემდა, ბუნბულას განსაცდელზე ფიქრობდა.

მახსოვს, კვირა დღე იყო და სადილად ღვინო აღარ მიიღო. მაგრამ იმ საღამოს ისეთი ამბავი მოხდა, რომ ბიძაჩემმა ხელადა ღვინო მარტო გამოცალა და ბაღდადურიც კი დაუარა.

რა მოხდა? ის, რომ... მარაგიანი ღამე იყო. ახლად ჰურმოხდილ თონის ფიცრებზე ვისხედით ბაღლები. თონე ნებივრად გვათბობდა. თონის განელეებულ ცეცხლში ახალი კართოფილი იწვოდა. მოჯამაგირე ჯულურა გრძელ ზღაპარს გვიყვებოდა მზის ვაჟზე, რომ ამ დროს შმაგურად შემოვარდა ჩვენს ეზოში ბუნბულას ვაჟი ბატატა, კიბე სასწრაფოდ აირბინა და ბიძაჩემს შესძახა: – სამახარობლო, სამახარობლო!

სირბილით, ფაციფუცით ყველამ ბუნბულას სახლს მივაშურეთ.

ბუნბულა დარცხვენილი იდგა, ტანისამოსშემოლახული. აღშფოთებული მამასახლისი უღრინავდა:

– რაები დაგიწყია ქალაქში, ვინ მოგცა მთავარმამობა, რომელი სისხლმაჭარა ხარ, რომ ხელმწიფის საქმეში ერევო! ქალაქიდან ჩავვაბარეს შენი თავი, ფეხი არსად გადადგასო. დაჯექი და ლუკმა ღოღნე!

თავდადრეკილი ბუნბულა არას ამბობდა, მხოლოდ ცოლს უთხრა, – მაჟრიალებს, საბანი წამახურეო და, საბანს თავზე იფარებდა. ბიძაჩემისთვის ხმა არ გაუცია, ისე რომ, ბიძაჩემი სულხანი ნაწყენივით დარჩა – მე მაგისტვის ღამეები არ მეძინაო და მაგან კი ზედაც არ შემომხედაო!

ბიძაჩემი ამოდ ექვიანობდა. ერთი კვირის მერე ბუნბულა თვითონ ეახლა ბიძაჩემს, სადილობისას, კაკლის ქვეშ და ყოველივე უამბო.

გრძელ სიტყვაობას რომ მოვერიდოთ, ბუნბულას ოხვრანი და გმინვანი რომ გამოვტოვოთ, მისი თავგადასავალი ასე ყოფილა:

შაშვის წყაროზე მჯდარა. – თვალი რომ მოვკიდე მწვანე ხევ-ჭალებს და ვენახებს, გულმა მაგაძუგი დამიწყო, ცრემლმა დამხეთქა, – მაშ, აღარ უნდა იმწვანილონ, აღარ უნდა იკეკლუცონ? მაშ, სისხლმა უნდა დაფაროს-მეთქი! როგორ უნდა გაიმეტოს ადამიანმა დასაბუგავად ეს შრომილი სილამაზე, მონაგარი, ჭირნახული, ახლავე უნდა ვუშველოთ, სანამ დიდი ვეშაპი ზღვაში ჩაძვრება-მეთქი! აქ ხომ არავინ მიგდო ყური, ქალაქში წავალ, იქ განათლებული ხალხია, დამიჯერებენ, ხელმწიფესთან გამყვებიან, სიცოცხლის საქმეზე გაირჯებიან, მე ხომ ჩემი ოჯახისას არასა ვცდილობ-მეთქი! გული ამიყუჩდა... ცოლ-შვილს არაფერი შევატყობინე,

ვიცი, არ გამიშვებდნენ. შენ ხომ იქ არ იყავ, რჩევა მეკითხა. მე ხალხის შველა მინდოდა. როგორ მოგრიალდა მატარებელი, როგორ ჩავჯექი, მე თვითონ არ მახსოვს და არც ის, როგორ ამოვყავი თავი ქალაქში. მეტის სიხარულისაგან თავბრუ მეხვეოდა.

პირდაპირ სასახლისაკენ გავწიე მთავარ-მართებლის სანახავად, რომ მეტყვა ყველაფერი, არ უნდა ხალხს ომი-მეთქი! სასახლის კართან დავდექი – გამომიცვივდნენ, აქ რა გინდაო, მუჯლუგუნი მკრეს, ქიმუნჯებით გამომადგეს.

– არ წავალ, საქვეყნო საქმეზე ვარ მოსული-მეთქი! წამითაქეს, ახლა ქუჩაში შევჩვივლე ნაცნობს თუ უცნობს. ერთს გადავუდექ, – გაიცინა, მეორემ – შემაგინა, მესამემ – გიჟიაო! ეს არ მაკმარეს, ახლა პოლიციამ ჩამჭიდა ხელი, ვინა ხარ, ალბათ ჯაშუში იქნებიო, სხვა სახელმწიფოს მოსყიდულიო!

პოლიციაში წამიყვანეს. ერთი კვირა ცარიელ ფიცრებზე ვიწექი მშიერ-მწყურვალი, ჩამაცივდნენ, მეკითხებოდნენ. მაწვალეს, მცემეს, რაც გროშები მქონდა, ქრთამში ამართვეს, მერე გამაპანლურეს. გასწი, აქეთ აღარ მოიხედოო, შენი ფეხი არ ვნახოთ ქალაქში, შე მეტიჩარაო! რას მერჩოდნენ? მე ხომ საქვეყნო საქმეზე ვიყავ წასული, ქვეყნის სამჯობინო მინდოდა. რად ჩამცხეს წიხლი შიგ გულში? რისთვის? რატომ არ ესმით რომ ვილუპებით? რამ გააქვავა ადამიანის გული?..

მდუმარე ბიძაჩემს თავი არ აუღია. ბოლოს აიღო ხელადა, ღვინო დაუსხა ბუნბულას და ჯამი გაუწოდა.

ბუნბულამ ხელი გაასავსავა – მე ღვინის ულუფა აღარ მერგება! იქ იმოდენა სისხლი იღვრება, მე ღვინოს როგორ დავლევეო, სისხლს მაგონებსო! ჩემს გულს სიმწრის ბოლი ასდის, რა დროს ღვინოაო!

ბიძაჩემმა გაკვირვებით შეხედა, მერე აიღო თავისი ჯამი: – ეს გაუმარჯოს ჩვენი მეომრების მშვიდობით დაბრუნებასო!

ბუნბულა გათავისდა, ხალხს აღარ ეკარებოდა. დადიოდა განაპირებული, განკვეთილი, გადაცოდინარებული. მისი გული სევდის სადგური გამხდარიყო. წინათ სიტყვით მაინც იკლავდა ჟინს, ახლა სიტყვის ნებაც მოუსპეს. ისე მოჰპარსავდა მუმტარს, ერთ სიტყვასაც არ გასცემდა, გულის ძარღვებშივე ჩაუსრისეს რწმენა და ჭეშმარიტებაც. რაღა დარჩენილიყო ბუნბულას არსებაში?..

იყო კაცი თავმომწონე და გარემოებამ ნაკაცარი გახადა. მერე რისთვის? – კაცობრიობის გულისთვის.

ასეთი იყო ბუნბულა დალაქის ბედი!

იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.

გაითვალისწინეთ: ნაშრომი, რომელიც 100 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!

ყურადღებით წაიკითხეთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „მიტოვებული ბაღი“:

იდგნენ ჩამოღუმულნი, ჩამოქუფრულნი: სამი ბებერი ვაშლი, ერთი მაღალი, შეფითრული მსხალი, ერთი ძირგამოფუღუროებული ტყემალი, ერთი ნახევრადშეკაფული ჭერამი და ათიოდეც პატარა ატამი, ქლიავი და ალუბალი. დასდიოდათ წვრილი, ცივი წვიმა. ჩასდევდა ეს წვიმა ძირსდაწეულ შავ ტოტებს, მსხვილ-მსხვილ წვეთებად გროვდებოდა ბოლოებზე და მერე იქიდან მოწყვეტილი გამდნარ ტყვიასავით მძიმედ ეცემოდა მიწაზე. მისდგომოდნენ იმ შამბგადავლილ მიწას დაგრუხული, დათხუნული ღორები – დიდები, პატარები – თხრიდნენ, აბრუნებდნენ, რაღაცებს ათქლავუნებდნენ, ისევ თხრიდნენ, ისევ აბრუნებდნენ. რიდით, სიფრთხილით მისდევდნენ ღორებს ქათმები, ბელტებზე ქანაობდნენ, ფრთებს იქნევდნენ, კენკავდნენ, იქექებოდნენ. ცოტა მოშორებით რაღაცის მოლოდინში ყელყელაობდნენ აბუეტი ინდაურები. მაგრამ არავინ წყრებოდა, არავინ მორბოდა კეტით ხელში, არავინ ისროდა ქვებს.

ჭირხლები რომ დაიწყო, ერთ შებინდებულზე ბოლოდან შემოდვრა ვიღაც გამელილი ბიჭი, ავიდა მსხალზე, დიდი ხმელი ტოტი მოხერხა, გააძვრინა ფიცარაგლეჯილ მესერში და წაიღო ქვემოთ-ქვემოთ, თავჩალუნულმა. მეორე საღამოს ის აგლეჯილი ფიცარიც ამოიიღლიავა ერთმა შავმა ლანდმა და წავიდა და შეერია სიბნელეს.

მოვიდა თოვლი. თითქოს ჩქარობდა, ფაციფუცობდა, ავსებდა ღორების ნათხარს, მესერის ძირებს. გაავსო, გაასწორა. დაფარა შამბნარიც. აქა-იქლა ჩანდა ხმელი ბალახის წვერები. დახოცეს ღორები, ინდაურები. ქათმები თოვლს ერიდებოდნენ. ხანდახან, მზე რომ გამოანათებდა, წახუმრავებული ძაღლები თუ გადაირბენდნენ ბაღს, ანდა გათენებისას მფრთხალი კურდღელი თუ ჩაისკუპსკუპებდა მესერის ძირ-ძირ.

შეფითრულ მსხალზე მოდიოდნენ ჩხართვები. წრიპინებდნენ, ფრთებს აფათქუნებდნენ, დაბლიდან ეკიდებოდნენ ფითრებს. რამდენჯერმე მონადირე ბიჭებიც შემოვიდნენ, ფითრები ათვალიერეს, მაგრამ ჩხართვები ვერც ერთხელ ვერ მოხელეს.

ჩამოდნებოდა თოვლი ხეებიდან და ცოტა ხანში ისევ დასდებდა. რამდენიმე ტოტი ჩამოტყდა, რამდენიმე ტოტი და ფიცარი კიდევ წაიღეს ვიღაც შავმა ლანდმა.

თებერვალში, ჯერ ისევ თოვლში, ერთ მზიან ნაშუადღევს, მოვიდა პატრონი, ქალაქურად ჩაცმული კაცი. ბაღში არ შესულა, მესერს გადაეყუდა და ასე იყურებოდა შიგ. იყურებოდა დიდხანს. თითქოსდა ჩასთვლიდა კიდევ ზედ. მერე გამოფხიზლდა, ჯიბეები მოიქექა, გასაღები ამოიღო, ბოქლომი გააღო, კოჭაკიდან ამოაძრო, ერთხანს ხელისგულზე ედო, თითქოს სიმძიმეს უსინჯავდა, ხელისგულზევე ჩაკეტა, ჯიბეში ჩაიღო და წავიდა თოვლში ბარგან-ბარგანით.

სანამ ორღობეს ჩაეფარებოდა, ორჯერ გაჩერდა და უკან მოიხედა. მეორედ რომ გაჩერდა, ქუდი მოიხადა, თავზე ხელი გადაისვა და ასე ქუდმოხდილი ჩაეფარა ორღობეს.

იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.

გაითვალისწინეთ: ნაშრომი, რომელიც 100 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!

ბ) შეფასების კრიტერიუმები

დავალების მაქსიმალური ქულაა 20.
 ნაშრომი, რომელიც 100 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა იქნება, არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

I კრიტერიუმი

№	ტექსტის ადეკვატური გაგება და გააზრება	ქულები
1.	ტექსტი ადეკვატურადაა გაგებულ და გააზრებული.	2
2.	ტექსტი ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებულ და გააზრებული.	1
3.	ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულ და გააზრებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	ნაშრომის აგება	ქულები
1.	ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2
2.	ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, თუმცა აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი, ანდა აბზაცები სწორადაა გამოყოფილი, მაგრამ ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა.	1
3.	ნაშრომში დარღვეულია ტექსტის ლოგიკა და/ან იგი ორგანიზებული არ არის.	0

III კრიტერიუმი

№	მსჯელობის დასაბუთება	ქულები
1.	ნაშრომში ზუსტად არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი; მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული და არგუმენტები გამყარებულია შესაფერისი მაგალითებით.	4
2.	ნაშრომში წარმოჩენილია ტექსტის მთავარი სათქმელი; მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტები არაა დამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები არაადეკვატურია.	3
3.	ნაშრომში წარმოჩენილია ტექსტის მთავარი სათქმელი, მაგრამ მსჯელობა ზერელეა, ხშირ შემთხვევაში არგუმენტები არაა დამაჯერებელია.	2
4.	ნაშრომში ნაწილობრივ არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი, მსჯელობა ძალზე ზოგადია, არგუმენტების მოხმობისას დაშვებულია უზუსტობა.	1
5.	არ არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი, მსჯელობა დასაბუთებული არ არის.	0

IV კრიტერიუმი

№	ტექსტის მხატვრული ანალიზი	ქულები
1.	ნაშრომში მკაფიოდაა წარმონედილი ნაწარმოების მხატვრული მხარე; დამაჯერებლადაა ნაჩვენები ავტორის მხატვრული სტილის თავისებურებები; მოხმობილია სათანადო მაგალითები.	2
2.	ნაშრომში ნაჩვენებია, რა მხატვრული საშუალებებით ახერხებს ავტორი ტექსტის მთავარი სათქმელის გამოსატყვას, თუმცა მოხმობილია ერთი არასთანადო მაგალითი.	1
3.	ნაშრომში არ არის წარმონედილი ნაწარმოების მხატვრული მხარე.	0

V კრიტერიუმი

№	კრიტიკული აზროვნება	ქულები
1.	ნაშრომში მკაფიოდ ჩანს კრიტიკული აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	2
2.	ნაშრომში ნაწილობრივ ჩანს კრიტიკული აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	1
3.	ნაშრომში არ ჩანს კრიტიკული აზროვნების უნარი.	0

VI კრიტერიუმი

№	ფაქტობრივი სიზუსტე	ქულები
1.	ნაშრომში არ არის ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოსატყული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება.	2
2.	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აზრი გასაგებია, თუმცა ლექსიკა მწირია და/ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	1
3.	თხზულება ლექსიკურად და სტილისტურად გაუმართავია.	0

VIII კრიტერიუმი

<i>№</i>	<i>სინტაქსი, მორფოლოგია, ორთოგრაფია</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში არ არის დაშვებული <i>ერთზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	3
2.	ნაშრომში არ არის დაშვებული <i>სამზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
3.	ნაშრომში არ არის დაშვებული <i>ხუთზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია <i>ხუთზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0

IX კრიტერიუმი

<i>№</i>	<i>პუნქტუაცია</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში არ არის დაშვებული <i>ორზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	ნაშრომში არ არის დაშვებული <i>ოთხზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	ნაშრომში დაშვებულია <i>ოთხზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0